სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის

მოადგილეს ბატონ გ.დიდბარიძეს

## მოხსენებითი ბარათი

მოგახსენებთ, რომ სახელმწიფო ქონების პრივატიზებისა და იჯარით გაცემის თაობაზე სამინისტროში შემოსულია თბილისის სახელმწიფო იპოდრომისა და ყულარის ცხენსაშენი გაერთიანების ხელმძღვანელების წინადადება აღნიშნული ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული ქონების იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 13 ნოემბრის № 717 დადგენილებით თბილისის სახელმწიფო იპოდრომისა და ყულარის ცხენსაშენის გაერთიანების შრომითი კოლექტივს ნება დაერთო აღნიშნული გაერთიანების ბალანსზე რიცხული ქონების იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზებაზე.

ამჟამად გაერთიანების ხელმძღვანელების მიერ მიზანშეწონილად არის მიჩნეული, რომ პირველ ეტაპზე სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩეს მათ ბალანსზე რიცხული მაყურებლის ტრიბუნა, საჩვენებელი წრე, თავლები და ღია მანეჟი, რომელიც გრძელვადიანი ხელშეკრულებით უნდა გადაეცეს მოიჯარეებს, დანარჩენი ქონება კი გაიცეს შრომით კოლექტივზე იჯარა გამოსყიდვის ფორმით პროფილის სავალდებულო შენარჩუნებით.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია დავეთანხმოთ შემოსულ წინადადებას.

აგრარული რეფორმების დეპარტამენტის
თავმჯდომარე — გ.გორდეზიანი

პრივატიზებისა და პოლიტიკის
განყოფილების უფროსი — მ.კუპრეიშვილი